605 №11861


# ლელო

VII

1-8 ივლისი, 1994 წ.
№20 (10888) ● ფასი 65 000 კუპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## მსოფლიოს XV ჩემპიონატი ფეხბურთში



# ამერიკა უნდა «მოიწამლოს» ფეხბურთით!

პირველი თხოვნა, გნებავთ, თავისებური კეთილი რეკომენდაციაც, რითაც მივმართავთ ძვირფას მკითხველებს, ფეხბურთის მოყვარულებს, ეგაა: ნუ გამოტოვებთ მსოფლიო ჩემპიონატის ნურც ერთ, ნურც ერთ შეხვედრას! ყველაფერი, რაც კი ამერიკის შეერთებული შტატების სტადიონებზე ხდება, დიდად საინტერესო და საყურადღებო, დიდად მნიშვნელოვანი მოვლენაა.

გავიხსენოთ ასეთი მატჩები: ესპანეთი — კორეა, კოლუმბია — რუმინეთი, აშშ — შვეიცარია, ნორვეგია — მექსიკა, ნიგერია — ბულგარეთი, ჰოლანდია — საუდის არაბეთი, გერმანია — კორეა... ბევრი ამ გუნდთაგანი საყოველთაოდ მიღებული თანამედროვე რეიტინგით, თითქოს, არაფერ დიდმნიშვნელოვანს არ წარმოადგენს და სხვა დროს, სხვა ვითარებაში, მათი ხილვა ვერაფერი ბედენა იყო. საუდის არაბეთი, ბულგარეთი, კორეა, აშშ, ნორვეგია და ზოგიერთი სხვაც მაინცდამაინც ღირსშესანიშნავს საფეხბურთო თვალსაზრისით არ წარმოადგენენ, გინდა ნახავ, გინდა — არა, დაკარგვით ბევრს არაფერს დაკარგავ. მაგრამ ახლა, როცა მთელი ქვეყანა თვალნათლივ ხედავს პლანეტის საუკეთესო გუნდების გააფთრებულ, ულმობელ ბრძოლას, დღევანდელი საფეხბურთო ელიტის დიდ ბატალიებს, საქმე სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება. შინაგანი დაძაბულობა, მორალურ-ფსიქოლოგიური განწყობა და გამწვავებული დინამიკა ისეთია, რომ ძველი რეიტინგები უკან იხევს და ადგილს უთმობს დღევანდელ უმძაფრეს კონიუნქტურას, კონკრეტულად შექმნილ სიტუაციაში მაქსიმალური უნარით მოქმედების აუცილებლობას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, XV მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში არ არიან ფეხბურთის ისეთი კორიფეები, როგორც ინგლისი, საფრანგეთი, ურუგვაი, დანია, პორტუგალია, უნგრეთი, ჩეხეთ-სლოვაკეთი, ავსტრია, არ არიან მხოლოდ იმის გამო, რომ თავი ვერ გაართვეს შესარჩევი ტურნირის ურთულეს პერიპეტიებს, თავიანთი ტრადიციული პოზიციები შეუპოვარ მეტოქეებს დაუთმეს, როგორც ირკვევა, სწორედ ეს მეტოქეები აღმოჩნდნენ სადღეისო ეტაპზე უფრო მომზადებულნი, ორგანიზებულნი.

დაგვეთანხმებით თუ არა, რომ ბოლივიის ნაკრები დიდ არაფერს წარმოადგენს გერმანიის გუნდთან შედარებით? იმ გუნდთან შედარებით, რომელიც სამჯერ ფლობდა მსოფლიო ჩემპიონის უმაღლეს ტიტულს, რომლის თითოეული ფეხბურთელი ნამდვილად ოქროს ფასად ფასობს, რომლის უძველესი ტრადიციები და ავტორიტეტი ურყევი და შეუვალია. მაგრამ აბა გაიხსენეთ ჩემპიონატის გახსნის დღეს ბოლივიელებმა რა ფიცხელი წინააღმდეგობა შესთავაზეს ძლევამოსილ სამგზის ჩემპიონებს, აიძულეს ძალების მაქსიმალური მობილიზებით ებრძოლათ და რომ იურგენ კლინსმანს ერთადერთი ბურთი არ გაეტანა 61-ე წუთზე, გერმანია მსოფლიო ჩემპიონი, მხოლოდ ერთი ქულით შეუდგებოდა მსოფლიო პირველობის უძნელეს გზას.

სენსაციააო, იტყვის ზოგიერთი, გამონაკლისი შემთხვევა! მაგრამ, როცა ასეთი სენსაციები თითქმის ყოველ მატჩში ხდება, ეს უკვე სენსაცია კი არა, კანონზომიერი ამბავია. საერთაშორისო ფეხბურთში დღეს ძალთა ახლებური შეფარდება გახლავთ, ახალი ურთიერთობები, ახალი მოთამაშეები.

ამიტომაც ჩვენი რჩევაა: უნახავად ნუ გამოტოვებთ ნურც ერთ მატჩს, ნურც ერთ თამაშს. ვიცით, კარგად ვიცით, რომ იოლი არაა ტელევიზორის ცქერა ღამის 4 საათზე, როცა თვალები გელულება და თავი ბალიშისკენ გაქვს უსაშველოდ წაყუდებული, მაგრამ ფეხბურთი ღირს ღამის ტეხვად. საკუთრივ უნდა ნახო ის, რასაც სხვა უცქერის და მეორე დღეს სინანულით არ იძიო ნაცნობ-მეგობრებში განვლილი ღამის საინტრესო კატაკლიზმები.

ტელევიზიის კომენტატორები, მიმომხილველები წარამარა გვამცნობენ ამერიკის 9 ქალაქის ვეება სტადიონების, ტრიბუნებზე ტევა არაა მაყურებლებისგან, აუდიტორია პირთამდე სავსეაო გულშემატკივრებით. ჩვენც კარგად ვხედავთ ამას, ბრმა არავინაა. ამერიკელები დიდი დაინტერესებით ადევნებენ თვალს ევროპული ფეხბურთის „სოკერის“ თამაშებს და ეს ფრიად ყურადსაღები მოვლენა გახლავთ ფეხბურთის საერთაშორისო განვითარების თვალსაზრისით. საკმარისია ამერიკა საფუძვლიანად დაინტერესდეს ევროპული ფეხბურთით (ევროპული ჰქვია, თორემ იქვე ახლოს, სამხრეთ ამერიკაში, ბრაზილიაში, არგენტინაში, ურუგვაიში და

 იხ. მე-3 გვ.



## კლაუდიო კანიჯას საიუბილეო გოლი

არგენტინისა და ნიგერიის გუნდების შეხვედრაში ბოსტონის სტადიონზე არგენტინელმა ფეხბურთელმა კლაუდიო კანიჯამ მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე გაიტანა საიუბილეო, 1500-ე გოლი. ეს მოხდა მაშინ, როცა ნიგერიელები წინ იყვნენ ანგარიშით 1-0, კანიჯამ საპასუხო ბურთი გაიტანა და იგი 1500-ე აღმოჩნდა ამ რანგის მატჩებში.

# ემზადებიან. ეროვნულიც, ოლიმპიურიც...

**საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები განაგრძობს მზადებას კარს მომდგარი ევროპის შესარჩევი თამაშებისათვის**

მიზეზთა გამო ჩვენმა ნაკრებმა 6 ივნისს ქ. რიგაში შესუსტებული შემადგენლობით ითამაშა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ლატვიის ნაკრებთან. როგორც ვიცით, ლატვიის გუნდს ურიგო დებიუტი არა ჰქონია მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში, სადაც გამოდიოდნენ ესპანეთის, ირლანდიის, ჩრდილოეთ ირლანდიის, დანიისა და ლიტვის გუნდები. ლატვიელებმა ჯგუფის ფავორიტებთან ესპანელებთან და დანიელებთან ფრედ ითამაშეს და ევროპის ჩემპიონი დანიის ნაკრები სწორედ რიგაში დაკარგული ქულის წყალობით ვერ მოხვდა ამერიკის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე.

მატჩი რიგაში მასპინძელთა იერიშებით დაიწყო, რასაც სტუმრები მწვავე კონტრშეტევებით პასუხობდნენ. ერთ-ერთმა ასეთმა იერიშმა მათ წარმატებაც მოუტანა — 1-0 (ჯანაშია).

მეორე ნახევრის დასაწყისში ლატვიელებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ კაჭარავამ და ჯამარაულმა კვლავ წინ გაიყვანეს ჩვენი გუნდი. 3-1 ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: ზოიძე, ბერაძე, კაციტაძე, ნემსაძე, ჯიშკარიანი, ჯანაშია (სეფაშვილი); ჯამარაული, ინალიშვილი, ტუღუში (ტყებუჩავა), ქინქლაძე, კაჭარავა.

საქართველოს ახალგაზრდული (ოლიმპიური) ნაკრები 6 სექტემბერს ევროპის ჩემპიონატის პროგრამით პირველ ოფიციალურ მატჩს გამართავს შინ მოლდოვის გუნდთან.

ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისთვის უკეთ მომზადების მიზნით ჩვენმა ოლიმპიელებმა (მთავარი მწვრთნელი შოთა ჭეიშვილი) ორი ამხანაგური შეხვედრა გამართეს ბელარუსში. პირველი მატჩი ამ ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებთან საქართველოს გუნდმა მის კარში ბოლო წუთზე დანიშნული ერთობ საეჭვო 11-მეტრიანის წყალობით (თამაშს ადგილობრივი მსაჯი უძღვებოდა) წააგო 0-1. რაც შეეხება მეორე შეხვედრას, ჩვენებმა იგი ასეთივე ანგარიშით მოიგეს ბობრუისკის „შინიკთან“. (გოლი გაიტანა გამცემლიძემ).

საქართველოს ოლიმპიური ნაკრები ირანს გაემგზავრა რამდენიმე ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრის გასამართავად.

## 37:35 ქალბატონების სასარგებლოდ

მატჩი ჭადრაკში „ქალბატონები სენიორების წინააღმდეგ“ უკვე ტრადიციული გახდა. **1992** წელს სენიორებმა გაიმარჯვეს, შარშან — ქალბატონებმა. წლეულს (მონტე-კარლო) ორივე ნაკრებში უძლიერესები თამაშობდნენ. ქალბატონების რიგებში ჩვენებიდან გამოდიოდნენ: მ. ჩიბურდანიძე, ნ. იოსელიანი და ქ. არახამია. სიე ჟუნთან, დებ ჟუჟა და იუდით პოლგარებთან ერთად (თადარიგში იყო გალიამოვა-ივანჩუკი). მათ თავიდანვე ჩაიგდეს ინიციატივა და საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც — **37:35**.

სენიორების შემადგენლობა: ვ. სმისლოვი, ბ. სპასკი, ბ. ლარსენი, ლ. პორტიში, ლ. პოლუგაევსკი, ვ. ჰორტი (ინფორმაცია მოგვაწოდა ბ. ბამრეკელმა).

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## ყვარლის „დურუჯი“ — პირველ ჯგუფში

**27 ივნისს** თბილისის „შევარდენის“ სტადიონზე პირველი ჯგუფის ერთადერთ საგზურს შეეცილნენ მეორე ჯგუფის აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებში გამარჯვებული ფეხბურთელები — ყვარლის „დურუჯი“ და სენაკის „ეგრისი“. შეხვედრა, როგორც მოსალოდნელი იყო, მეტად დაძაბული და საინტერესო გამოდგა.

ყვარლელები კვლავ პირველ ჯგუფს დაუბრუნდნენ: თამაშის 69-ე წუთზე ნახევარმცველმა სეირან პოზოიანმა ეფექტური გოლი გაიტანა — 2-0. (მთავარი მწვრთნელი ო. გაბელია).

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 70 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე

**ფილიპე მელქისედეკის ძე მახარაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# დინამოელი ჭაბუკები — ჩემპიონები!

დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში 1976-77 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის. თბილისის „დინამოს“ სტადიონის მინდორზე ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამოს“ სპორტული სკოლისა და 35-ე საფეხბურთო სკოლის ფეხბურთელები, ანგარიშით 4-1 გაიმარჯვეს „დინამოს“ სპორტული სკოლის ფეხბურთელებმა (სკოლის დირექტორი ო. გეგეჭკორი, უფროსი მწვრთნელი გ. გელაძე).



სურათზე: თბილისის „დინამოს“ ჭაბუკთა გუნდი (სხედან, მარცხნიდან პირველ რიგში): გ. თინიკაშვილი, ი. ფაცურია, გ. სულაძე, გ. დემეტრაძე, ი. ხუჯაძე, დ. მუჯირი, ზ. კუჭატაძე; დგანან: მ. ასათიანი, გ. გომარელი, ს. გულაშვილი (გუნდის კაპიტანი), ზ. ზამთარაძე, დ. ელისაშვილი, გ. მუშკუდიანი, ა. იაშვილი, თ. მუშკუდიანი, გ. გელაძე (უფ. მწვრთნელი).

შალვა დევნოზაშვილის ტექსტი და ფოტო.

# ჭადრაკი მათი სიხარულია

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა ქალაქის პირველობა 10 და 12 წლის ასაკის გოგონებსა და ბიჭებს შორის. გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს:

**10 წლამდე ასაკი.** გოგოები. 1. სოფიკო ნემსიწვერიძე (მწვრთნელი მიხეილ ჭიპაშვილი) — 13 ქულა (13-დან), 2. ანა ახალაია — 10,5, 3. სოფიკო სუნთლიშვილი — 10. ბიჭები. 1. მერაბ გაგუნაშვილი (მწვრთნელი თემურ ლომაია) — 12 ქულა (12-დან), 2. გივი თვალავაძე — 9, 3. ზურაბ ნიკოლიშვილი — 7,5.

**12 წლამდე ასაკი.** გოგოები. 1. სოფიკო გვეტაძე (მწვრთნელი ვალიკო ურიდია) — 13 (13-დან), 2. თინათინ ჩაგელიშვილი — 9,5, 3. სოფიკო ცერცვაძე — 9. ბიჭები. 1. გიორგი ეგრისელაშვილი (მწვრთნელები ოთარ ალხანიშვილი და ველიმირ კალანდაძე) — 11,5 (13-დან), 2. აკაკი შარაშენიძე — 11,5, 3. მალხაზ მალხაზოვი — 11.

ლელა თანდაშვილი

ჭადრაკის ფედერაციის პრესსამსახურის ხელმძღვანელი



მარცხნიდან: მერაბ გაგუნაშვილი, სოფიკო გვეტაძე, სოფიკო ნემსიწვერიძე, გიორგი ეგრისელაშვილი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## სასიხარულო შედეგი

რუმინეთის ქალაქ ჰერკულანში ახლახან დამთავრდა ევროპის საჭადრაკო ჩემპიონატი სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის გოგონათა და ჭაბუკთა შორის. შედეგების შესახებ ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი ზურაბ მაჭავარიანი.

ახალგაზრდებს შორის ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებს თვალსაჩინო ადგილი უკავია ფიდეს კალენდარში. ძნელია დაასახელოთ რომელიმე თანამედროვე გამოჩენილი მოჭადრაკე თავის დროზე რომ ეს სკოლა არ გაევლოს. ჩვენი გოგოები და ჭაბუკები ასეთ შეჯიბრებებში ყოველთვის წარმატებით გამოდიან. ეს კარგი ტრადიცია არც ახლა დარღვეულა.

10 წლამდე გოგოების შეჯიბრებაში 9 შესაძლებლიდან 7 ქულით გაიმარჯვა ალექსანდრა კოსტენიუკმა (რუსეთი). თამარ ჩალაბაშვილი (თბილისი) მარცხიანად გამოვიდა და მხოლოდ X-XIV ადგილები გაიყო.

თელაველი ანა მათნაძე, შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი 10 წლამდე გოგოებში, რომელსაც საერთაშორისო ოსტატი თამარ ხმიადაშვილი ავარჯიშებს, ამჯერად 12 - წლიანებში გამოდიოდა. მან 7 ქულით I ადგილი დაიკავა. 6,5 ქულით II იყო ფარვანა ისმაილოვა (აზერბაიჯანი), ამდენივე ქულით III — ვიქტორია სმილუტე (ლიტვა).

14 წლამდე ასაკში 7,5 ქულით ჩემპიონი გახდა ივეტა რაძიევიჩი (პოლონეთი). ნინო წიტაიშვილმა (ოზურგეთი), რომელსაც ასევე თამარ ხმიადაშვილი ავარჯიშებს, 7 ქულით II იყო, III კი (6 ქულით) — ნატალია ანდრეევა (რუსეთი).

16 წლამდე ასაკში ჩემპიონი გახდა ნატალია ჟუკოვა (უკრაინა) — 7 ქულა. 6-6 ქულით შეჯიბრება დაამთავრეს ნიკოლეტა ლაკოსმა (უნგრეთი), რომელსაც II ადგილი მიეკუთვნა, კორინა პუპტანმა (რუმინეთი), რომელსაც მესამე პრიზი გადაეცა და თბილისელმა მილენა ისაიბეკიანმა. ამ ტურნირში ქუთაისელი სოფიკო ტყეშელაშვილიც გამოდიოდა, რომელმაც 5,5 ქულით მეხუთე ადგილი დაიკავა.

10 წლამდე ჭაბუკებს შორის შეჯიბრება საკმაოდ იშვიათი შედეგით დასრულდა: 6,5 ქულა ერთბაშად ოთხმა მონაწილემ მოაგროვა: შადირ ჰუსეინოვმა (აზერბაიჯანი), რომელსაც ჩემპიონობა მიენიჭა, ვლად ჯიანუმ (რუმინეთი), დავით პეტროსიანმა (სომხეთი) და ოლეგ პაველმა (მოლდავეთი). თბილისელი ლევან აროშიძე 5,5 ქულით IX ადგილზე გამოვიდა.

12 წლამდე ასაკში შესანიშნავად ითამაშა ქუთაისელმა ვალერი გაფრინდაშვილმა, რომელსაც ახლა ოსტატი ალექსანდრე ბოკუჩავა ავარჯიშებს. მან 7,5 ქულით I ადგილი დაიკავა. 6,5 ქულა მოაგროვეს ვიტალი შინკევიჩმა (რუსეთი) და ლევონ არონიანმა (სომხეთი). თბილისელი ნიკა შავთვალაძე 5,5 ქულით X ადგილზეა.

14 წლამდე ასაკში 7-7 ქულა მოაგროვეს კარლ მახმა (ინგლისი) და ფლორინ ფელეჩანიმ (რუმინეთი). ჩემპიონობა ინგლისელ მოჭადრაკეს მიენიჭა. 6,5 ქულით III იყო ბელორუსიის წარმომადგენელი სტანისლავ სმეტანიკი. თბილისელმა ვახტანგ ჩიქოვანმა 5,5 ქულით X ადგილი დაიკავა.

16 წლამდე ჭაბუკებში 7-7 ქულით დაამთავრეს შეჯიბრება ალექსეი ჩერნიშევიჩმა (ბელარუსი) და მიხეილ ქობალიამ (რუსეთი). რუსთაველი თამაზ გელაშვილი, რომელსაც გივი გოგიჩაიშვილი ავარჯიშებს, 6,5 ქულით III ადგილზეა.

თუ არაოფიციალურ ჩათვლას მივაქცევთ ყურადღებას, წლევანდელ ევროპის ჩემპიონატში საქართველო პირველ ადგილზეა, მოპოვებულია ორი ოქროს, ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი.

ესაუბრა გივი თორელი



## ნამდვილი მჭამაკაცები „იმპერიალ ქუინზ პარკის“ სარბიელზე

ბანგკოკის „იმპერიალ ქუინზ პარკს“ ამდენი მამაკაცი ჯერ არ ახსოვს: სწორედ ამ სასტუმროს ხვდა წილად კრივში მსოფლიო თასის VII გათამაშების მასპინძლობა. ფართო, მრავალადგილიანი რესტორანის ინტერიერი კრივის ნამდვილ სარბიელად იქცა 5-6-ათასიანი გადასატანი ტრიბუნებითა და ორი რინგით. რაც შეეხება მონაწილეებს, ტაილანდის დედაქალაქმა თითქმის მთელი მსოფლიოს 68 ქვეყნის 269 წარმომადგენელს მოუყარა თავი. დასამახსოვრებელი იყო, აგრეთვე, შეხვედრათა რეგლამენტიც — ტრადიციული სამი სამწუთიანი რაუნდის ნაცვლად მოკრივეები ხუთ ორწუთიან რაუნდს იბრძოდნენ.

საქართველოს ოფიციალურად სამი მოკრივე — გორელი გიორგი კანდელაკი, ფოთელი ზურაბ სარსანია და თბილისელი მათე კოლუაშვილი ჰყავდა მივლინებული ბანგკოკში, ისე კი, დარბაზში ხუთი ქართველი მოკრივის გვარი გაისმა. დანარჩენი ორი — რამაზ ფალიანი და პაატა გვასალია ამჯერად რუსეთის ღირსებას იცავდნენ.

მხოლოდ ევროპის ჩემპიონს, პირველი მძიმე წონის გ. კანდელაკს არ გაუწბილება გულშემატკივრები და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. მისი თანაგუნდელი მ. კოლუაშვილი (67 კგ.) სომხეთის წარმომადგენელ ა. აკოფიანთან დამარცხდა პირველსავე ბრძოლაში და შეჯიბრებას გამოეთიშა. ზემძიმე წონის (+91) ზ. სარსანიამ სტარტზე სძლია ნიდერლანდიელ დოუმანს, ხოლო მომდევნო შეხვედრაში გერმანელ ფიშერთან მსაჯებმა იგი დამარცხებულად სცნეს და ნახევარფინალისკენ გზა გადაეღობა. რაც შეეხება „მამლუქებს“ — რ. ფალიანსა (57) და პ. გვასალიას, ისინი პირველსავე შეხვედრებში დამარცხდნენ შესაბამისად ტაილანდელ სომლუქთან და ყაზახ მ. კალიბაევთან.

## ნბა-ს ჩემპიონი პირველად

ნბა-ს ჩემპიონატის ფინალური სერიის მეხუთე მატჩი „ნიუ-იორკ ნიკსის“ კალათბურთელებმა შინ მოუგეს „ჰიუსტონ როკიტსს“ 91:84 და დაწინაურდნენ ანგარიშით 3:2. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავდა, ვინაიდან „ჰიუსტონს“ ბოლო ორი მატჩი შინ ჰქონდა ჩასატარებელი. ეს კი გარკვეულ უპირატესობას აძლევდა მას. და აი მართლაც, ჰიუსტონელებმა მოიგეს მეექვსე მატჩიც (96:84), მეშვიდეც (90:84) და კლუბის ისტორიაში პირველად ნბა-ს ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრეს.

ამ დღეებში გამოქვეყნდა ასოციაციის ყველაზე ტიტულოვან მწვრთნელთა სია (იმათი, ვინც ყველაზე ბევრჯერ იყო ნბა-ს ჩემპიონის მწვრთნელი):

არნოლდ (რედ) აუერბახი. „ბოსტონ სელტიკსი“ — 9.

ჯონ კუნდლა. „მინეაპოლის რეინჯერსი“ — 5.

პეტ რაილი. „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“ — 4.

ფილ ჯექსონი. „ჩიკაგო ბულზი“ — 3.

ჩაკ დეილი. „დეტროიტ პისტონზი“ — 2.

კეისი ჯონსი. „ბოსტონ სელტიქსი“ — 2.

უილიამ რედ ჰოლცმანი. „ნიუ-იორკ ნიკსი“ — 2.

ბილ რასელი. „ბოსტონ სელტიქსი“ — 2

ალექს ხანუმი. „სენტ-ლუის ხოკსი“ და „ფილადელფია-76 — 2.

## ახალი ამბები

● **ავტომობილიზმი.** „ფორმულა-I“-ის გათამაშებას დამაჯერებლად ლიდერობს გერმანელი მ. შუმახერი („ბენეტონი“). ექვსი ეტაპის შემდეგ მას 56 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა ინგლისელი დ. ჰოლი („უილიამსი“) — 23 ქულა. მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფენ ავსტრიელი გ. ბერგერი და ფრანგი ჟ. ალეზი ორივე („ფერარი“) — 13-13 ქულა.

● **ხელბურთი.** პორტოში დამთავრდა ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი. ნახევარფინალში რუსეთის გუნდმა დაამარცხა დანია (29:20), შვეციამ კი ხორვატია (24:21). ამის შემდეგ გაიმართა მატჩი III ადგილისათვის ხორვატია — დანია 24:23. რაც შეეხება ფინალურ ორთაბრძოლას, აქ შვედების უპირატესობა აშკარა იყო (34:21). საბოლოოდ ადგილები განაწილდა ასე: 1. შვეცია, 2. რუსეთი, 3. ხორვატია, 4. დანია.

● ჩემპიონატის შემდეგ შედგა „ვარსკვლავთა ნაკრები“, რომელშიც მოხვდნენ: ანდრესენი, ჰაიასი, ტორსონი, სვენსონი (ყველა — შვეცია), ერგენსონი (დანია), კუდინოვი და ტორგოვანოვი (ორივე — რუსეთი). საუკეთესო ბომბარდირის პრიზი კუდინოვმა მიიღო — 42 გოლი.

● **ჰოკეი.** ვენეციაში გაიმართა სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციის (იიჰფ) კონგრესი, რომელმაც პრეზიდენტად აირჩია 44 წლის შვეიცარიელი კბილის ექიმი რენე ფაზელი. 78 დელეგატიდან ახალი პრეზიდენტის კანდიდატურას ხმა მისცა 46-მა დელეგატმა. ამავე კონგრესზე ვიცე-პრეზიდენტები გახდნენ: მიროსლავ შუბრტი (სლოვაკია), ვალტერ ბუში (აშშ) და სოოჩი ტომიტა (იაპონია). მანამდე მთელი 19 წლის განმავლობაში პრეზიდენტი იყო გიუნტერ საბეცკი.

● **ფიგურული ციგურაობა.** როგორც ვიუწყებოდით, შიდსით გარდაიცვალა 1976 წლის ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი, ინგლისელი ჯონ კარი. იგი პირველი ოლიმპიური ჩემპიონი იყო ბრიტანეთიდან სპორტის ამ სახეობაში. ამ დღეებში „სოტბის“ აუქციონზე გაიყიდა ჩემპიონის 3 ოქროს მედალი 10 ათას გირვანქა სტერლინგად. ანდერძის თანახმად მთელი თანხა მიიღო გარდაცვლილის ოჯახმა.

● **ბოდიბილდინგი.** მადრიდში გაიმართა ევროპის ჩემპიონატი ვაბბა-ს ვერსიით. ვაჟთა შორის ოქროს მედლები მოიპოვეს: ფრანგმა კ. კოჟელმა (სიმაღლე — 173 სმ-მდე), იტალიელებმა პ. კარანელიმ (172 სმ-მდე), ვ. ბელოველერმ (179 სმ-მდე) და ფრანგმა პ. ლეონმა (+179 სმ).

● **კრივი.** ბანგკოკში გამოვლინდნენ მსოფლიოს თასის მფლობელნი მოყვარულთა შორის. წონითი კატეგორიების მიხედვით იმარჯვეს: ნ. მუნჩანმა (სომხეთი), ა. ხრისტოვმა (ბულგარეთი); ფ. ჰუსტემ, მ. რუდოლფმა, ი. ურკალმა (ყველა — გერმანია), ნ. უტაევმა (უზბეკეთი), ფ. ვასტაგმა (რუმინეთი), ა. ტოპაევმა (ყაზახეთი), რ. ზაულიჩნიმ (რუსეთი), ფ. სავონმა და რ. მადალომ (ორივე — კუბა).

● **თავისუფალი ჭიდაობა.** სანკტ-პეტერბურგში დამთავრებულ რუსეთის ჩემპიონატში თავი უმთავრესად ჩრდილოეთ ოსეთისა და დაღესტნის ფალავნებმა გამოიჩინეს. ჩემპიონები გახდნენ: ვ. ორუჯევი (ოსეთი), ა. ჯავადოვი, ა. აზიზოვი, ვ. რაშიდოვი (სამივე — დაღესტანი), ი. კუპეევი (ოსეთი), ს. კატინოვასოვი (დაღესტანი), ს. ალბეგოვი, მ. ხადარცევი, დ. მუსულბესი (სამივე — ოსეთი), გ. ქილცოვი (კრასნოიარსკი).

## ჟიული შარტავას ხსოვნას მიეძღვნა

გარდაბნის რაიონის გამგეობამ და სპორტის დეპარტამენტმა ჩაატარა 1-ლი სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფეხბურთში, რომელიც მიეძღვნა ჟ. შარტავას 50 წლის იუბილეს. უფროსებს შორის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ნინევიასა და თბილსრესის გუნდები, 5-2 გაიმარჯვეს თბილსრესელებმა. მოსწავლეთა შორის გადამწყვეტ მატჩში იბრძოდნენ №5 ქართული სკოლისა და №3 აზერბაიჯანული სკოლის გუნდები. დაძაბული შეხვედრა მოიგო მე-5 სკოლის გუნდმა — 3-2.

უახლოეს ხანებში შეჯიბრებები გაიმართება სპარტაკიადის სხვა სახეობებში.

რ. უზუნლავა.

გარდაბნის სპორტის რაიონული დეპარტამენტის თავმჯდომარე.

## რა ხდება ქვეყანაზე

მონტე კარლო. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) ალმასკომის სხდომაზე დამტკიცდა 1996-98 წ.წ. სეზონის შეჯიბრებათა კალენდარი. 1996 წელს მოეწყობა: მსოფლიოს ჩემპიონატი კროსში (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, კეიპტაუნი), მსოფლიოს ჩემპიონატი ნახევარმარათონში (ესპანეთი, პალმა დე მაიორკა), მსოფლიოს პირველობა ეტსაფეტებში (დანია, კოპენჰაგენი) და იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატი (ავსტრალია, სიდნეი), 1997 წელს — მსოფლიოს ჩემპიონატი დარბაზებში (საბერძნეთი, ათენი), 1998 წელს — მსოფლიოს თასი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, იოჰანესბურგი).

სან-ანტონიო. ნბა-ს დირექტორატმა დაამტკიცა ერთი გადასვლა. „სან-ანტონიო სპერსის“ კალათბურთელთა კლუბის ყოფილი მწვრთნელი დონ ლუკასი ამიერიდან გაუძღვება „ფილადელფია-76“-ს. ამ „ტრანსფერის“ გაფორმებას ლუკასმა მთელი ორი წელი მოანდომა.

ლონდონი. როგორც ოფიციალური წყაროებიდან გახდა ცნობილი, 29 წლის ბრიტანელი მოცურავე შარონ დევისი ბრუნდება სპორტში. შარშან ნოემბერში მას ვაჟიშვილი შეეძინა და დროებით წავიდა სპორტიდან. დევისი სამი ოლიმპიური თამაშების მონაწილეა. 1980 წელს მოსკოვში (XXII ოლიმპიადა) მან ვერცხლის მედალი მოიპოვა კომპლექსურ ცურვაში 400 მეტრზე.

ნიუ-იორკი. მაიკლ მურერთან მარცხის შემდეგ მსოფლიოს ექსჩემპიონი მძიმე წონის მოკრივეთა შორის (ება-სა და იბფ-ს ვერსიით) ევანდერ ჰოლიფილდი ყრუ ტკივილებს უჩიოდა გულის არეში. სამედიცინო შემოწმებამ აღმოაჩინა, რომ მოკრივეს გულის თანდაყოლილი დაავადება ჰქონია. ექსჩემპიონს კარგა ხანს მკურნალობდა ამერიკაში ცნობილი ექსტრასენსი ბენი ჰინი. ჰოლიფილდის განცხადებით იგი მთლიანად განიკურნა და მზად არის დაბრუნდეს რინგზე.

რომი. წყალბურთელთა მორიგი მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება იტალიის დედაქალაქში მიმდინარე წლის 1-10 სექტემბერს. ამ დღეებში მოეწყო ჯგუფური ტურნირების წილისყრა. A ჯგუფში მოხვდნენ: რუმინეთი, აშშ, პოლანდია, გერმანია, B ჯგუფში — ახალი ზელანდია, ავსტრალია, ესპანეთი, ხორვატია, C ჯგუფში — საბერძნეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, კუბა, რუსეთი, D ჯგუფში — კანადა, უნგრეთი, იტალია, ყაზახეთი.

ვენა. ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონმა 110 მეტრზე თარჯრბენში, კანადელმა მარკ მაკოიმ, მას შემდეგ რაც ცოლად შეირთო გერმანელი გოგონა, ავსტრიაში ცხოვრება გადაწყვიტა. ამ დღეებში მან ამ ქვეყნის ქვეშევრდომობა მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან ავსტრიის სპორტულ ღირსებას დაიცავს.

მაიამი ბიჩი. ფლორიდის სარეაბილიტაციო ცენტრიდან გამოეწერა ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელი ჯენიფერ კაპრიატი. ექიმების განცხადებით მას კიდევ სულ ცოტა 12-თვიანი მკურნალობა სჭირდება, რათა მთლიანად განიკურნოს ნარკომანიისაგან. სპორტსმენიცა და მისი მშობლებიც თანახმანი არიან მკაცრად და უსიტყვოდ შეასრულონ ყველა რეკომენდაცია.

## სახელიც და დოლარებიც

ჰოკეისტთა ეროვნული ლიგის (ნჰლ) წლევანდელი გათამაშების დამთავრების შემდეგ, ტორონტოში განაწილდა პერსონალური პრიზები, დაჯილდოვდნენ ლაურეატები. სპეციალურმა ჟიურიმ აღნიშნა:

ყველაზე სასარგებლო (ფასეული) მოთამაშე. სერგეი ფედოროვი („დეტროიტი“). პრემია — 10000 დოლარი.

მცველის ყაიდის საუკეთესო ფორვარდი. იგივე სერგეი ფედოროვი. 10000 დოლარი.

ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე. იგივე სერგეი ფედოროვი. 10000 დოლარი.

საუკეთესო მეკარე. დომენიკ გაშეკი („ბაფალო“). 100000 დოლარი.

მეკარე, რომელმაც ყველაზე ცოტა შაიბა გაუშვა. იგივე დომენიკ გაშეკი. 10000 დოლარი.

საუკეთესო ახალბედა. მარტინ ბროდერი („ნიუ-ჯერსი“). 10000 დოლარი.

საუკეთესო მწვრთნელი. ჟაკ ლემერი („ნიუ-ჯერსი“). 10000 დოლარი.

საუკეთესო მცველი. რეი ბურკი („ბოსტონი“). 10000 დოლარი.

ლიგის ჯენტლმენი. უეინ გრეცკი („ლოს-ანჯელესი“). 10000 დოლარი.

ჰოკეის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის. კემ ნილი („ბოსტონი“). 2500 დოლარი.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის. ადამ გრეივზი („რეინჯერსი“). 2500 დოლარი.

# ამერიკა უნდა „მოიწამლოს" ფეხბურთით!

(დასასრული)

სხვაგან ფეხბურთი სყოველთაო სპორტული კულტია) და სპორტის ამ პოპულარულ სახეობას კიდევ ერთი მძლავრი, უკიდურესად მდიდარი პოტენციური და მრავლისშემძლე, პერსპექტიული და საფუძვლიანი სარეზერვო ბაზა შეემატება. აქაურ მძლეოსნობას და კალათბურთს, კრივსა და კეტბურთს, გოლფსა და კეტჩს შეემატება მისი უდიდებულესობა ფეხბურთიც და მაშინ იგი ახალ მძლავრ იმპულსს შეიძენს, ბრაზილიას, გერმანიას, არგენტინას, იტალიას, ე. ი. დღევანდელ საერთაშორისო ელიტას შეემატება ამერიკაც, ამერიკა კი ეს ამოუწურავ შესაძლებლობათა უმდიდრესი მადანია. ამერიკა უნდა „მოიწამლოს" ფეხბურთით!

**გერმანია — ესპანეთი 1-1.** გოლები: გოიკოეჩეა (ესპანეთი), კლინსმანი (გერმანია).

**აშშ — კოლუმბია 2-1.** გოლები: ესკობარი (კოლუმბია, საკუთარ კარში), სტიუარტი (აშშ), ვალენსია (კოლუმბია).

**შვეიცარია — რუმინეთი 4-1.** გოლები: სუტერი, შაპიუიზა, კნუპი, ბრეგი (შვეიცარია), ჰაჯი (რუმინეთი). მინდვრიდან გააძევეს ვლადოიუ.

**კორეა — ბოლივია 0-0.** პირველი მატჩი, სადაც არც ერთი ბურთი არ გატანილა. მინდვრიდან გააძევეს ბოლივიელი ლუის კრისტალდო.

**იტალია — ნორვეგია 1-0.** გოლი: ტასოტი (იტალია). ამ მატჩში მინდვრიდან გააძევეს იტალიელთა მეკარე ჯანლუკა პალიუკა. მიზეზი — იგი უხეშად ეთამაშა მეტოქეს. გარდა ამისა, მოხდა კაზუსიც: ახლანდელ მსოფლიო ჩემპიონატში ნებადართულია ორი მინდვრის მოთამაშისა და ერთი მეკარის შეცვლა, იტალიელთა მწვრთნელმა არიგო საკიმ კი სამივე მინდვრის მოთამაშე შეცვალა, თუმცა ერთი მათგანის ნაცვლად მინდორზე სათადარიგო მეკარე გამოვიდა.

**ბრაზილია — კამერუნი 3-0.** გოლები: რომარიო, სანტუში, ბებეტო. უხეშობისთვის მინდვრიდან გააძევეს კამერუნელი სონგი.

**შვეცია — რუსეთი 3-1.** გოლები: ბრულინი (11-მეტრიანი), დალინი (2, შვეცია), სალენკო (11-მეტრიანი, რუსეთი).

**მექსიკა — ირლანდია 2-1.** გოლები: გარსია (2, მექსიკა), ოლდრიჯი (ირლანდია).

**არგენტინა — ნიგერია 2-1.** გოლები: კანიჯა (2, არგენტინა), სიასია (ნიგერია).

**ბელგია — ჰოლანდია 1-0.** გოლი: ალბერი (ბელგია).

**ბულგარეთი — საბერძნეთი 4-0.** გოლები: სტოიჩკოვი (2, ორივე 11-მეტრიანით), ლეჩკოვი, ბორიმიროვი.

**რუმინეთი — აშშ 1-0.** გოლი: პეტრესკუ.

**კოლუმბია — შვეიცარია 2-0.** გოლები: გავირია, ლოსანო.

**ესპანეთი — ბოლივია 3-1.** გოლები: გვარდიოლა, კამინერო (2, ესპანეთი), სანჩესი (ბოლივია).

**გერმანია — სამხრეთ კორეა 3-2.** გოლები: კლინსმანი (2), რიდლე (გერმანია), ხვან სუნ ხონი, ხონ მიუნ ბო (კორეა).

**საუდის არაბეთი — მაროკო 2-1.** გოლები: ალ-ჯაბერი (11-მეტრიანი), ამინი (საუდის არაბეთი), შაუში (მაროკო).

**იტალია — მექსიკა 1-1.** გოლები: მასარიო (იტალია), ბერნალი (მექსიკა).

**ირლანდია — ნორვეგია 0-0.**

**რუსეთი — კამერუნი 6-1.** გოლები: სალენკო (5), რადჩენკო (რუსეთი), როჟე მილა (კამერუნი).

**ბრაზილია — შვეცია 1-1.** გოლები: ანდერსონი (შვეცია), რომარიო (ბრაზილია).




გთავაზობთ იმ ჯგუფების ცხრილებს, სადაც უკვე გაირკვა საბოლოო მდგომარეობა.

**„A" ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | ნ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-5 | 6 |
| შვეიცარია | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| აშშ | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| კოლუმბია | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |

**„B" ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | ნ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 3 | 2 | 1 | 0 | 6-1 | 7 |
| შვეცია | 3 | 1 | 2 | 0 | 6-4 | 5 |
| რუსეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 7-6 | 3 |
| კამერუნი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-11 | 1 |

**„C" ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | ნ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 3 | 2 | 1 | 0 | 5-3 | 7 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-4 | 5 |
| კორეა | 3 | 0 | 2 | 1 | 4-5 | 2 |
| ბოლივია | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |

**„F" ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | ნ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| ირლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| იტალია | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| ნორვეგია | 3 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 4 |

ამრიგად, მერვედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს რუმინეთის, შვეიცარიის, აშშ-ის, ბრაზილიის, შვეციის, გერმანიის, ესპანეთის, არგენტინის, მექსიკის, ირლანდიის, იტალიის, ბელგიის გუნდებმა.

# ავალანჟი თავის თავზე და ფეხბურთზე

**ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ამასწინანდელ 49-ე კონგრესზე ამ ორგანიზაციის პრეზიდენტად, მეექვსედ აირჩიეს 78 წლის ბრაზილიელი მრეწველი და ბიზნესმენი ჟოაო ავალანჟი. ახალი რწმუნების ვადა მას გაუვა 4 წლის შემდეგ, როცა 82 წლისა იქნება.**

— მე არასოდეს წამომიყენებია ჩემი თავი პრეზიდენტის პოსტზე: თუ ოთხი წლის შემდეგ ჯანმრთელად ვიქენი და ეროვნული ფედერაციების წარმომადგენლებს ისევ გაუჩნდებათ სურვილი მეშვიდე ვადით დამასახელონ, არავითარ შემთხვევაში არ ვიტყვი უარს.

— ადამიანები იხდიან ფულს, რომ ნახონ ფეხბურთის მატჩი. მათ უყვართ ლამაზი, შინაარსიანი, კორექტული, სუფთა ფეხბურთი და ჩვენ ვალდებული ვართ დავეხმაროთ ამაში გულშემატკივრებს. ადამიანებმა თამაშისაგან სიამოვნება უნდა მიიღონ. ესაა ჩვენი ორგანიზაციის ვალი.

— ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ, არ შევეგუებით მოსაწყენი, უინტერესო ფეხბურთის არსებობას. არ შეიძლება გუნდმა მიზნად დაისახოს მოწინააღმდეგისთვის მხოლოდ ხელის შეშლა და მეტი არაფერი.

— ჩვენ, სამწუხაროდ, ხშირად ვართ იმის მომსწრე, თუ როგორ უმოწყალოდ უსწორდებიან სახელოვან ფეხბურთელებს. უხეშობა უნდა აღიკვეთოს — სუსტისა და გაუბედურებულის წინააღმდეგ არავინ იბრძვის, აი ძლიერებს კი პირდაპირ ტერორს უნიშნავენ. ჩვენ, ჩვენის მხრივ, გამოვუცხადებთ „ტერორისტებს" დაუნდობელ ბრძოლას.

— ჩვენი მიზანია ყოველმხრივი დახმარება აღმოვუჩინოთ მოზარდებს, განსაკუთრებით მათ, ვინც გაჭირვებაში არიან. შევეცდებით, გავაუმჯობესოთ მათი ცხოვრების პირობები.

# დიდი ოთხეული

თითქმის 60 (უფრო ზუსტად თუ გნებავთ, 58) წლის მანძილზე გერმანიის ფეხბურთელთა ნაკრებს სათავეში ედგა მხოლოდ... ხუთი მწვრთნელი. ასეთი სტაბილურობითა და თანმიმდევრულობით ვერც ერთი ქვეყნის ფეხბურთი ვერ დაიტრაბახებს.

**ზეპ ჰერბერგერი 1936-1964**
**ჰელმუტ შიონი 1964-1978**
**იუპ დერვალი 1978-1984**
**ფრანც ბეკენბაუერი 1984-1990**
**ბერტი ფოგტსი 1990-?**

აქამდე, როგორც ფეხბურთის სამყაროში აღნიშნავენ, გერმანელ მწვრთნელებს ბედი სწყალობდათ. უფრო სწორად, ყოველმა მათგანმა გარკვეული ეპოქა შექმნა ფეხბურთის ისტორიაში. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თავად მოთამაშეები თავიანთი შეფების ნაღვაწს სხვადასხვაგვარად აფასებდნენ.

ზეპ ჰერბერგერი. იგი ნამდვილი დიქტატორი იყო. ომის შემდეგ გერმანელ ხალხს ჯერ კიდევ ჰქონდა სისხლში გამჯდარი მორჩილების გრძნობა. 1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონი იუპ პოსიპალი იგონებს: „ჩვენ მას ყურს ვუგდებდით ულაპარაკოდ. ზეპს შეეძლო ჩვენი გაღვიძება შუაღამეს და სავარჯიშოდ წაყვანა".

ჰელმუტ შიონი. 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ვილი შულცი-ამბობდა მასზე: „ჩვენ ამ აყლაყუდას შეგნებულად არ ვამჩნევდით, ვითომ არც ყოფილა". პაულ ბრაიტნერი მას „ფუტკარივით მშრომელ და მოფუსფუსე" მწვრთნელს უწოდებდა. მისი აზრით შიონი მგრძნობიარე ნატურა იყო.-მარცხის შემდეგ იგი ჩაიკეტებოდა ხოლმე ოთახში და არავის ეჩვენებოდა. ამის მიუხედავად ფეხბურთელებს იგი უყვარდათ.

იუპ დერვალი. ხასიათი მსუბუქი, ადამიანებში მხოლოდ კეთილ საწყისებს ეძებდა. იცოდა ხმამაღლა სიცილი, ხუმრობა. ამის მიუხედავად ფეხბურთელებთან ყველაზე რთული ურთიერთობა სწორედ მას ჰქონდა. ერთი ჟურნალისტის თქმით გერმანელებს „მათრახის გარეშე არსებობა არ შეუძლიათ".

ფრანც ბეკენბაუერი. მოთამაშეები მას არც თუ იშვიათად აკრიტიკებდნენ. ეს ის პერიოდი გახლავთ, როცა ნაკრებში ავტორიტეტების კულტის მსხვრევა დაიწყო. მაგრამ „კაიზერ ფრანცი" დარწმუნებული იყო, რომ მისი პარტნიორები (და თვითონაც) დღევანდელ ფეხბურთელებზე უკეთ თამაშობდნენ. ბეკენბაუერს ალბათ ჰქონდა უფლება ეფიქრა ასე.

ბერტი ფოგტსი. მას ყველაფერი წინა აქვს, ფიქრობენ კრიტიკულად განწყობილი გერმანელები, დაამტკიცოს, რომ ღირსია ამ ოთხეულში ყოფნისა და შესაძლოა მეტი ეპითეტიც გავიმეტოთ.

# რჩეულნი

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამჟამად მიმდინარეობს მსოფლიოს რიგით მე-15 ჩემპიონატის გათამაშება. მანამდე პირველი ლაურეატის წოდებას ფლობდნენ მხოლოდ სამხრეთ ამერიკისა და ევროპის ქვეყნების ნაკრები გუნდები. მათი საერთო ბალანსი თანაბარია — 7:7.

● მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობის რაოდენობით სადღეისოდ პირველ ადგილს ინარჩუნებს მექსიკელი მეკარე ანტონიო კარბახალი. მან მონაწილეობა მიიღო 5 ფინალურ ტურნირში (1950, 1954, 1958, 1962, 1966 წლები). 4-4 ფინალურ ტურნირში ითამაშეს ბრაზილიელებმა პელემ და ჯალმა სანტოსმა, გერმანელებმა უვე ზეელერმა და კარლ-ჰაინც შნელინგერმა, პოლონელმა ვლადისლავ ჟმუდამ, ურუგვაელმა პედრო როჩამ, იტალიელმა ჯანი რივერამ. უკვე მეოთხე ფინალურ ჩემპიონატში მონაწილეობენ არგენტინელი დიეგო მარადონა და გერმანელი ლოტარ მათეუსი.

● 4-4 მსოფლიო ჩემპიონატში ხელმძღვანელობდნენ ეროვნულ გუნდებს გერმანელი ზეპ ჰერბერგერი, ავსტრიელი კარლ რაპანი, ინგლისელი უოლტერ უინტერბოტომი, გერმანელი ჰელმუტ შიონი.

● ბრაზილიელი მარიო ზაგალო ორჯერ თვით იყო მსოფლიო ჩემპიონი (1958, 1962 წ.წ.) და ერთხელ მსოფლიო ჩემპიონთა მწვრთნელი (1970). მსოფლიო ჩემპიონი იყო აგრეთვე, გერმანელი ფრანც ბეკენბაუერი, როგორც მოთამაშე (1974) და როგორც, მწვრთნელი (1990).

● ბრაზილიელმა ვავამ და გერმანელმა პაულ ბრაიტნერმა ორ ფინალურ, გადამწყვეტ შეხვედრაში გაიტანეს გოლები. ვავამ 1958 და 1962, ხოლო ბრაიტნერმა 1974 და 1982 წლებში.

● ინგლისელი ჯეფრი ჰერსტი ერთადერთია, ვინც ფინალურ შეხვედრაში ჰეთ-ტრიკი შეასრულა (1966 წელი).

● მსოფლიო ჩემპიონატებში ყველაზე მეტი მატჩი (8) იმსაჯა უელსელმა ბენჟამინ გრიფიტსმა (1950, 1954, 1958 წლები). 7-7 მატჩი იმსაჯეს ბელგიელმა ჯონ ლანგეუსმა, ინგლისელმა ართურ ელისმა და ესპანელმა ჟუან გარდესაბალმა.




## ყურადღება!

ვინც ჯერ კიდევ ვე[illegible] მოასწრო „სპორტ-ექსპრესის" ფერადი დამატების — „ფუტბოლის" შეძენა (იგი მთლიანად აშშ-ში მიმდინარე ფეხბურთელთა XV მსოფლიოს ჩემპიონატს ეძღვნება) მიაკითხეთ ბეჭდვითი პროდუქციის გამავრცელებლებს შემდეგი მისამართით: კოსტავას ქ №20. აქვე შეიძლება „სოვეტსკი სპორტისა" და „სპორტ-ექსპრესის" უახლესი ნომრების შეძენა. ფასი შეთანხმებით. (უფრო იაფად, ვიდრე სხვა პუნქტებში.

# ჩემპიონატის მოზაიკა

● მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ ერთი ბრაზილიელი ჟურნალისტი ჩააცივდა რუსეთის ნაკრების მწვრთნელს პ. სადირინს, რატომ არის რომ ბრაზილიელი ფეხბურთელები დღეში ერთხელ ვარჯიშობენ, ხლო რუსები — ორჯერ?

პ. სადირინს სურდა თავიდან მოეცილებინა კორესპონდენტი და უპასუხა: იმიტომ, რომ ისინი ბრაზილიელები არიან, ჩვენ კი რუსები.

ჟურნალისტი არ დაიბნა. „თუ ვარჯიშთა ყოველდღიური რაოდენობა ზუსტად შეესაბამება ამ გუნდების თამაშის კლასს, მაშინ ბრაზილიელებს, საერთოდ, არ ესაჭიროებათ წვრთნა, რუსებმა კი პირიქით, დღეში რვაჯერ უნდა ივარჯიშონ", — უპასუხა მან.

● არგენტინელთა წამყვანი მოთამაშე დიეგო მარადონა ახლა საუკეთესო ფორმაშია. მან 9 კილოგრამი დაიკლო წონაში, საგანგებო სამედიცინო ტესტი გაიარა და ექიმი ერნესტო უგალდე საკუთრივ დარწმუნდა, რომ ფეხბურთელი აშკარა პროგრესის გზაზე დგას, იგი გაცილებით უფრო სწრაფად მოძრაობს, რეაქციას არ უჩივის და, საერთოდ, 10-ბალიანი შეფასებიდან 8 ბალი დაიმსახურა, მაშინ, როცა წინა ჩემპიონატზე ოთხი წლის წინ მან სულ 4 ბალი მიიღო.

● ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ჟურნალისტებს ოფიციალურად განუცხადა, რომ ფიფას მორიგი კონგრესი საღამოს 5 საათზე დაიწყებოდა, მაგრამ ამ დროისთვის მისულმა ჟურნალისტებმა გამოარკვიეს, რომ კონგრესი, თურმე, დილას დაწყებულა და ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხიც უკვე გადაეწყვიტათ.

ეს შემთხვევა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდში მომხდარ ამბავს გვახსენებს: მთავარი მწვრთნელი მაშინ მიხეილ იაკუშინი იყო, საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი სიხარულიძემ მას ჰკითხა როდის იქნებოდა წინასამატჩო თათბირი, რომელსაც სურდა საკუთრივ დასწრებოდა (გ. სიხარულიძე, საერთოდ, აქტიურად ერეოდა თბილისის „დინამოს" წმინდა საფეხბურთო საქმეებში). მ. იაკუშინმა უპასუხა, რომ წინასამატჩო დავალებებს იგი 2 საათზე დაიწყებდა.

გ. სიხარულიძე დანიშნული დროისთვის მივიდა საწვრთნელ ბაზაზე და მწვრთნელს ჰკითხა როდის ვიწყებთ თათბირსო. მ. იაკუშინმა მშვიდად უპასუხა:

— თათბირი ჩვენ უკვე 12 საათზე გვქონდა, ყველა საკითხი მაშინ განვიხილეთ.

● ფეხბურთის მიმომხილველთა უმეტესობას მიაჩნია, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის მონაწილეთა რიცხვის გაზრდა 24-დან 32-მდე უაზრობაა, რომ მონაწილეთა შორის მრავლად მოხვდებიან შემთხვევითი გუნდები.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა „ოპოზიციონერები" დაარწმუნა, რომ რეფორმა მხოლოდ არგებს საქმეს. სწორედ ასევე ირწმუნებოდნენ ოპონენტები, რომ საქმე გაფუჭდებოდა თუ ფინალისტთა რიცხვი 16-დან 24 გუნდამდე გაიზრდებოდა, მაგრამ ამით არაფერი წამხდარა, პირიქით, მსოფლიო ჩემპიონატის გადამწყვეტ ეტაპზე გაცილებით მეტი მაღალი კლასის გუნდი გამოჩნდა.

● ცნობილია, რომ ჟოაო აველანჟს დიდი უსამოვნება მოუვიდა გამოჩენილ ბრაზილიელ ფეხბურთელ პელესთან თავისი სიძის რაღაც სარეკლამო კომპანიასთან დაკავშირებით, მაგრამ პრეზიდენტი მალე მიხვდა, რომ მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებთან დავა მას ხელს არ მისცემს, ამიტომაც ფიფას კონგრესზე საპატიო სტუმრებს შორის საგანგებოდ მიიწვია პელეც და გამოჩენილი უნგრელი ფეხბურთელებიც ფერენც პუშკაში და ნანდორ ჰიდეგკუტი.

● საინტერესოა, რომ წარსულის ერთ-ერთი პოპულარული ვარსკვლავი, უნგრელთა დიდი გუნდის ცენტრფორვარდი ნანდორ ჰიდეგკუტი საფეხბურთო მინდორზე სანიმუშო ქცევისა და კორექტულობისთვის დაჯილდოვდა „ფეირ პლეის" პრიზით.

გარდა ამისა, ფ. პუშკაშს გადასცეს ფიფას ოქროს ორდენი, რაც ფრიად პრესტიჟული ჯილდოა, ასეთი პრიზით მსოფლიოში სულ 11 კაცია დაჯილდოებული ფეხბურთის განვითარების საქმეში შეტანილი დიდი ღვაწლისთვის. პუშკაშის გარდა ეს ორდენები მიიღეს ფრანგმა ფეხბურთელმა ჟიუსტ ფონტენმა, პორტუგალიელმა ეისებიომ, ესპანელმა ალფრედო დი სტეფანომ და ურუგვაელმა აბდულიო ვარელამ.

● ცნობილია, რომ არსებობს იმ გამოჩენილ ფეხბურთელთა სია, რომლებსაც 100 და მეტი მატჩი აქვთ ნათამაშევი ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. მაგრამ სტატისტიკოსები ირწმუნებიან, რომ ამ სიაში რატომღაც არ არიან მოჰამედ ალ-ჯავადი (143 მატჩი), მაჯედ მოჰამედ აბდელაჰი (166) და, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთი ქალი, 34 წლის ნორვეგიელი ჰუნი ნიუბორგი, რომელსაც, თურმე, ეროვნულ ნაკრებში 110 მატჩი უთამაშია.

## საფეხბურთო მატიანე

# პირველი გოლი

ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატებში გატანილ პირველ გოლს მუდამ განსაკუთრებული ხიბლი და მნიშვნელობა ჰქონდა და მათ ავტორებს საგანგებოდ აღნიშნავდნენ ხოლმე. მერე და მერე პირველი გოლების გამტანებს სპეციალური პრიზებითაც აჯილდოებდნენ. ყველაზე „სწრაფი“ პირველი გოლი გატანილია 1934 და 58 წლებში, თუმცა, ჩვენ თანამიმდევრობით მივყვეთ ჩემპიონატებს.

8 წუთი. 1930 წელი. I ჩემპიონატი. ლუსიენ ლორანი (საფრანგეთი). 13 ივლისის მატჩი. საფრანგეთი — მექსიკა 4:1.

3. წუთი. 1934 წელი. II ჩემპიონატი. ერნესტო ბელისი (არგენტინა). 27 მაისის მატჩი. შვეცია — არგენტინა 3:2.

36 წუთი. 1938 წელი. III ჩემპიონატი. იოზეფ გაუხელი (გერმანია). 4 ივნისის მატჩი. გერმანია — შვეიცარია 1:1.

32 წუთი. 1950 წელი. IV ჩემპიონატი. ადემირი (ბრაზილია). 24 ივნისის მატჩი. ბრაზილია — მექსიკა 4:0.

10 წუთი. 1954 წელი. V ჩემპიონატი. ომარ მიგუესი (ურუგვაი). 16 ივნისის მატჩი. ურუგვაი — ჩეხოსლოვაკია 2:0.

3 წუთი. 1958 წელი. VI ჩემპიონატი. ორესტეს ომარ კორბეტა (არგენტინა). 8 ივნისის მატჩი. გფრ — არგენტინა. 3:1.

4 წუთი. 1962 წელი. VII ჩემპიონატი. ექტორ ფაკუნდო (არგენტინა). 30 მაისის მატჩი. არგენტინა — ბულგარეთი 1:0

106 წუთი. 1966 წელი. VIII ჩემპიონატი. პელე (ბრაზილია). 11 ივლისის მატჩი ინგლისი — ურუგვაი დამთავრდა ფრედ 0:0. 12 ივლისს ბრაზილია — ბელგიის მატჩი (2:0) პელემ გოლი მე-16 წუთზე გაიტანა. ასე რომ, ინგლის — ურუგვაის ორთაბრძოლის 90 წუთს დაემატა ბრაზილია — ბელგიის 16 წუთი. ამიტომაც ვამბობთ, რომ VIII ჩემპიონატის პირველი გოლი 106-ე წუთზე გავიდაო.

102 წუთი. 1970 წელი. IX ჩემპიონატი. დინკო დერმენჯიევი (ბულგარეთი). 31 მაისის გახსნის მატჩი მექსიკა — სსრკ 0:0. 2 ივნისი. ბულგარეთი — პერუ 2:3. დერმენჯიევმა გოლი გაიტანა მე-12 წუთზე.

106 წუთი. 1974 წელი. X ჩემპიონატი. პაულ ბრაიტნერი (გფრ). 13 ივნისის გახსნის მატჩი ბრაზილია — იუგოსლავია 0:0. 14 ივნისი. გფრ — ჩილი 1:0. ბრაიტნერის გოლი გავიდა მე-16 წუთზე.

91 წუთი. 1978 წელი. XI ჩემპიონატი. ბერნარ ლაკომბი (საფრანგეთი). 1 ივნისის გახსნის მატჩი გფრ — პოლონეთი 0:0. 2 ივნისი. იტალია — საფრანგეთი 2:1. ლაკომბის გოლი გავიდა მატჩის პირველ წუთზე.

62 წუთი. 1982 წელი. XII ჩემპიონატი. ერვინ ვან დენ ბერგი (ბელგია). 13 ივნისის მატჩი. არგენტინა — ბელგია 0:1.

43 წუთი. 1986 წელი. XIII ჩემპიონატი. ალესანდრო ალტობელი (იტალია). 31 მაისის მატჩი. ბელგია — იტალია 1:1.

67 წუთი. 1990 წელი. XIV ჩემპიონატი. ფრანსუა ომამ ბიიკი (კამერუნი). 8 ივნისის მატჩი. არგენტინა — კამერუნი 0:1.

61 წუთი. 1994 წელი. XV ჩემპიონატი იურგენ კლინსმანი (გერმანია). 17 ივნისის მატჩი. გერმანია — ბოლივია 1:0.

## მსოფლიო ჩემპიონატი ტელეეკრანზე

„ოსტანკინო“

1 ივლისი. 17.05. არგენტინა — ბულგარეთი.

2 ივლისი. 21.45. მერვედფინალური მატჩი.

„როსია“

30 ივნისი. 9.10. ბელგია — საუდის არაბეთი.

1 ივლისი. 9.10. საბერძნეთი-ნიგერია.

2 ივლისი. 0.25. მერვედფინალური მატჩი.

3 ივლისი. 20.55. მერვედფინალური მატჩი. 0.25. მერვედფინალური მატჩი.



## UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

# ოცდაოთხი და დანარჩენები

უეფამ გამოაცხადა ეროვნულ ჩემპიონატებში გამარჯვებული იმ 24 გუნდის რეიტინგული სია, რომლებიც 1994-95 წლების სეზონში ევროპულ ტურნირებში იასპარეზებენ. ესენია: 1. „მილანი“ (იტალია), 2. „აიაქსი“ (ჰოლანდია), 3. „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი), 4. „ბაიერნი“ (გერმანია), 5. „ბარსელონა“ (ესპანეთი). 6. „ბენფიკა“ (პორტუგალია), 7. „სპარტაკი“ (მოსკოვი, რუსეთი), 8. „ანდერლეხტი“ (ბელგია), 9. „პარი სენ-ჟერმენი“ (საფრანგეთი), 10. „რეინჯერსი“ (შოტლანდია), 11 „კაზინო“ (ავსტრია), 12. „გიოტებორგი“ (შვეცია), 13. „სტიაუა“ (რუმინეთი), 14. „გალათასარაი“ (თურქეთი), 15. „სპარტა“ (ჩეხეთი), 16. „ჰაიდუკი“ (ხორვატია), 17. აეკ (საბერძნეთი), 18. „მაკაბი“ (ხაიფა, ისრაელი), 19. „სლოვანი“ (სლოვაკია), 20. „სერვეტი“ (შვეიცარია), 21. „ვაცი“ (უნგრეთი), 22. „სილკებორგი“ (დანია), 23. „ავენირი“ (ლუქსემბურგი), 24. „რუსენბორგი“ (ნორვეგია).

პირველი რვა კლუბი ამ სიიდან პირდაპირ ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებს (სტარტი 14 სექტემბერსაა). მომდევნო თექვსმეტი გუნდი შეადგენს რვა წყვილს. გამარჯვებულნი დაემატებიან ჩემპიონთა ლიგის მონაწილეებს (ეს მატჩები გაიმართება 10-24 აგვისტოს), დანარჩენი კლუბები კი უეფას ტურნირში იასპარეზებენ. ყველა ევროპული ტურნირის წილისყრა გაიმართება 20 ივლისს.

# ევროპა... ვინ ვინ არის?

ევროპაში დამთავრდა ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატები და თასების გათამაშება. გთავაზობთ გამარჯვებული გუნდების ვინაობას:

ავსტრია. ჩემპიონი — „კაზინო“, თასის მფლობელი — „აუსტრია“.

ალბანეთი. ჩემპიონი — „ტეიტა“, სნაიპერი — მარტინი („ვლაჟნია“) — 14 გოლი, თასი — „ტეიტა“.

ბელგია. ჩემპიონი — „ანდერლეხტი“, სნაიპერი — ი. ვებერი („სერკლ ბრიუგე“) — 31, თასი — „ანდერლეხტი“.

ბულგარეთი. ჩემპიონი — „ლევსკი“, სნაიპერი — სირაკოვი („ლევსკი“) — 30, თასი — „ლევსკი“.

გერმანია. ჩემპიონი — „ბაიერნი“, სნაიპერები — იებოა („აინტრახტი“) და კუნცი („კაიზერსლაუტერნი“) — 18-18.

ესპანეთი. ჩემპიონი — „ბარსელონა“, სნაიპერი — რომარიო („ბარსელონა“) — 30, თასი — „სარაგოსა“.

თურქეთი. ჩემპიონი — „გალათასარაი“, სნაიპერი — ი. ბიულენტი („ფენერბახჩე“) — 22, თასი — „ბეშიქთაში“.

ინგლისი. ჩემპიონი — „მანჩესტერ იუნაიტედი“, სნაიპერი — კოული („ნიუკასლი“) — 34, თასი — „მანჩესტერ იუნაიტედი“.

ირლანდია. ჩემპიონი — „შემროკ როვერსი“, სნაიპერი — ჯოგეგანი („შემროკ როვერსი“) — 23, თასი — „სლიგო როვერსი“.

იტალია. ჩემპიონი — „მილანი“, სნაიპერი — სინიორი („ლაციო“) — 23. თასი — „სამპდორია“.

კვიპროსი. ჩემპიონი — „აპოლონი“.

მალტა. ჩემპიონი — „ჰიბერნიანსი“.

პორტუგალია. ჩემპიონი — „ბენფიკა“, სნაიპერი — იეკინი („სეტუბალი“) — 21, თასი — „პორტუ“.

რუმინეთი. ჩემპიონი — „სტიაუა“, სნაიპერი — კრაიოვიანუ („უნივერსიტატია“), 21, თასი — „გლორია“.

საბერძნეთი. ჩემპიონი — აეკ-ი, სნაიპერები — ალექსანდრისი (აეკი), ვარჟიხა („პანათენაიკოსი“) — 24-24, თასი — „პანათენაიკოსი“.

საფრანგეთი. ჩემპიონი — „პარი სენ-ჟერმენი“, სნაიპერები — რ. ბოლი („ლანსი“), ჯორკაეფი („მონაკო“), უედეკი („ნანტი“) — 20-20, თასი — „ოსერი“.

ფინეთი. ჩემპიონი — „ჯაზი“, სნაიპერი — ა. სუმიალა („ჯაზი“) — 20.

შვეცია. ჩემპიონი — „გიოტებორგი“, სნაიპერები — ბერტილსონი („ჰალმსტადი“), ლილიენბერგი („ტრელებორგი“) — 18-18.

შვეიცარია. ჩემპიონი — „სერვეტი“, სნაიპერი — ელბერი („გრასჰოპერსი“) — 21, თასი — „გრასჰოპერსი“.

შოტლანდია. ჩემპიონი — „რეინჯერსი“, თასი — „დანდი იუნაიტედი“.

ჩრდილოეთ ირლანდია. ჩემპიონი — „ლინფილდი“, სნაიპერი — ჰეილოკი („ლინფილდი“) — 21, თასი — „ლინფილდი“.

ჰოლანდია. ჩემპიონი — „აიაქსი“, სნაიპერი — ლიტმანენი („აიაქსი“) — 26, თასი — „ფეიენოორდი“.

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს“ საგამომცემლო-კომპიუტერული სისტემით.

ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები: ე. მინგოშვილი, ტ. ჯამიაშვილი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე



— ან მე, ან ბურთი!

ჟურნალ „სტადიონიდან“.

## იუმორი



## სპორტული ინტეგრაციის პრობლემები

# ევროპის ფედერაციამ დაგვინდო, ფინა?...

სპორტთან დაკავშირებული ნებისმიერი მგზავრობა, რაგინდ ძლიერ მეტოქესთან უნდა გიწევდეს შეხვედრა, სასიამოვნო მოგონებად რჩება... მაგრამ არა გვგონია, საქართველოს საწყლოსნო სახეობათა კონფედერაციისა და წყალბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის ნუგზარ ერაძის ამასწინანდელი ვოიაჟი სტამბოლში ასეთ მოგონებებს რომ განეკუთვნოს. საქმე ის იყო, რომ წინასწარ არასასიამოვნო ემოციებს იწვევდა მისი გამგზავრება თურქეთის ამ ქალაქში, ვინაიდან კარგად იცოდა ცურვის ევროპის ფედერაციის (ლენ) კონგრესზე „თამასუქების“ განაღდებას მოითხოვდნენ. ამ სახეობათა ქომაგებს კარგად მოეხსენებათ საქართველოს კონფედერაციის დავალიანებათა შესახებ, რომელიც განაპირობა ლენ-ის 7 თვის საწევრო დავალიანებამ (300 შვეიცარიული ფრანკი), წყალში მხტომელი თ. სახიაშვილის ევროპის პირველობის სტარტზე გამოუცხადებლობის ჯარიმა — (50 ფრანკი), თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე გამოუსვლელობის ჯარიმა (15 ათასი ფრანკი) და ა. შ.

კონგრესის წევრებს ზედმეტად მიაჩნიათ რაიმე შეღავათის შესახებ ყოველგვარი ლაპარაკი.

ჩვენმა ვიცე-პრეზიდენტმა მაინც შეძლო დაეთანხმებინა ისინი, რომ ლენ-ის წევრებს შორის საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ეს-ესაა განვითარების გზას დაადგა და ასეთი თანხის გადახდის საშუალება მას სადღეისოდ არ გააჩნია. საკმაო დებატების შედეგად კონგრესი ერთგვარ დათმობაზე წავიდა და დათანხმდა, რომ თუ საქართველო ამ დავალიანებიდან ამთავითვე ნაწილს შეიტანს ლენ-ის ხაზინაში, მაშინ ჩვენი სპორტსმენები, კერძოდ წყალში მხტომელები, მოცურავეები და სინქრონისტები, დაიშვებიან ევროპულ ასპარეზობებზე, საქართველო კი კვლავაც დარჩება ლენ-ის წევრად. რაც შეეხება დინამოელ წყალბურთელებს, გუნდმა ამთავითვე 4 ან 5 ათასი ფრანკი უნდა გადაიხადოს, რომ იგი დაუშვან კონტინენტის საკლუბო გუნდების ასპარეზობაში.

ასეთი ლმობიერება გამოიჩინა ჩვენს მიმართ ლენ-მა, მაგრამ კიდევ ერთი დიდი დავალიანება გვაქვს, კერძოდ, მსოფლიო ფედერაციისა (ფინა), რომელიც იმის გამო დაგვედო, რომ საქართველოს წყალბურთელ ქალთა გუნდმა განაცხადი წარადგინა და მერე უარი თქვა მსოფლიო პირველობაში მონაწილეობაზე. ამ საკითხს ფინა სექტემბერში განიხილავს რომში, თავის სხდომაზე.

## წერილი „ლელოს“

# მადლობა ყველას!

ძნელია მადლობის წერილის დაწერა, ამასთან, სასიხარულოა, როცა გაჭირვების ჟამს თანადგომას გრძნობ, როცა 23 წლის სპორტსმენს, რომელიც ინვალიდის ეტლზეა მიჯაჭვული, გვერდში უდგანან კეთილი ადამიანები.

1988 წლის მაისში მივიღე მძიმე ტრავმა — კისრის არეში მოტეხილობა. გამოჯანმრთელების ოცნება დღემდე ტანჯვად მომყვება. ჩემი ამბავი გააშუქა გაზეთებმა. ძირითადად „ლელომ“, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ რედაქციას.

იმთავითვე დახმარების ხელი გამომიწოდეს თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ვ. კანკავამ და ცნობილმა მოჭიდავემ ო. ბლიაძემ. ულრმესი მადლობა მათ და მათ მეგობარს, ბიზნესმენ თ. კიკილაშვილს, რომელიც რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მოღვაწეობს. მისი დახმარებით აღმდგენითი მკურნალობა ჩავიტარე. გარდა მატერიალური დახმარებისა ამ კეთილმა ადამიანმა სულიერად გამამხნევა — ყირიმში მომინახულა მკურნალობის დროს. მადლიერებით მინდა აღვნიშნო აგრეთვე სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის კ. ასათიანის ყოველმხრივი თანადგომა, მადლობა ო. შოშიტაშვილს, ძიუდოს ფედერაციიდან ა. მარტყოფლიშვილს, სპორტსაზოგადოება „მართვეს“, საგზაო პოლიციის სამმართველოს „ალგეთის“ ქვეგანყოფილების თანამშრომლებს, ყოფილ ძიუდოისტს გია დელიბაშვილს.

ასეთია არასრული სია იმ ქველმოქმედი ხალხისა, რომლებიც ყველანაირად მეხმარებიან ჯანმრთელობის აღდგენაში.

ღმერთმა სიკეთით გადაგიხადოთ.

ამირან აბუაშვილი

## ცხენოსნობა • თბილისის ჩემპიონატი

### მხოლოდ ტექნიკური შედეგები

გახსნის პრიზი: რ. მარგიანი (განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა საცხენოსნო სპორტსკოლა), 2. გ. აფციაური (კლუბი „იპოდრომი“), 3. ჯ. ბერძენიშვილი (სპორტსკოლა). სამონადირეო პარკური: 1. ს. შელია („რაში“), 2. უ. ანდრონიკაშვილი, 3. რ. გოცირიძე (ორივე — სპორტსკოლა). საქართველოს თასი — 1. ს. ზიმენკო (ქ. ფოთი), 2. ს. შელია, 3. ზ. დუნდუა („რაში“).

აბსოლუტური პირველობა: 1. ს. შელია, 2. ს. ზიმენკო, 3. რ. გოცირიძე.

## სპორტული ტელეეკრანი

„ოსტანკინო“

1 ივლისი. 10.45. ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. ნახევარფინალი. 0.10. დიდი ფეხბურთის გაელვებანი.

2. ივლისი. 8.15. 1.00. ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. ნახევარფინალი.

3 ივლისი. 10.30. სპორტლოტო. 12.05. ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. 22.50. სპორტული უიქ-ენდი. 0.05. ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი.

„როსია“

1 ივლისი. 23.50. სპორტული კარუსელი.

2. ივლისი. 17.20. ფეხბურთი უსაზღვრებოდ. 23.50. სპორტული კარუსელი.

3 ივლისი. 0.45. ამერიკის კალათბურთის ასოციაციის საუკეთესო თამაშები. 15.50. მსოფლიო ჩემპიონატი ავტოსპორტში „ფორმულა-1“-ის კლასში. საფრანგეთის გრან-პრი. 23.50. სპორტული კარუსელი.

საქართველოს რაგბის კავშირი და მორაგბეთა ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებენ ქუთაისის მორაგბეთა გუნდის „აიას“ ყოფილ მოთამაშეს ბათლომე ხომასურიძეს მამის გარდაცვალების გამო.

...ნო მისამართი: თბილისი, 380096, ვ. კოსტავას 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-47. ინდექსი 66435 INDEX. დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში“